იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

საქმიანობის ანგარიში

(2013 ივნისი - 2017 მაისი)

www.hcoj.gov.ge

წ ი ნ ა თ ქ მ ა **3**

I. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა **4**

1. ღონისძიებები, გატარებული სასამართლოს სისტემის დამოუკიდებლობისა დამიუკერძოებლობის განმტკიცების მიზნით 4

A. ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაზრდა *4*

B. ინდივიდუალური დამოუკიდებლობა *5*

C. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცედურები *6*

D. საქმეთა ავტომატური განაწილება *8*

E. ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიების გაზრდა *8*

2. სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობისა და სასამართლოსადმი ნდობის ზრდის დამადასტურებელი თვალსაჩინო შედეგები 9

A. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობის მკვეთრი გაზრდა *9*

B. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსადმი მიმართვიანობის მკვეთრი შემცირება *9*

C. სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის გამოყენების ლიბერალიზაცია *10*

D. ლიბერალიზაცია ადმინისტრაციული სამართალწარმოების სფეროში *15*

E. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ევროპული კონვენციის გამოყენება *18*

F. სასამართლოს დამოუკიდებელობის აღქმა *20*

3. საერთაშორისო აღიარება 20

A. World Justice Project *21*

B. Freedom House *21*

C. რეგიონული დიალოგის შესახებ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეობა *21*

4. საქმიანობა მოსამართლეთა მონიტორინგის სფეროში 22

A. გაწეული სამუშაო *22*

B. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია *23*

C. შედეგები *25*

II. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა **26**

A. დისციპლინური სამართალწარმოების სხდომათა ჩატარების რეგულარობა *26*

B. ცვლილებები დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების კანონში *26*

C. განხილულ საქმეთა სტატისტიკა *27*

D. დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი *28*

E. დიალოგი დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ეთიკის საკითხებზე *28*

III. ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა **29**

A. შემუშავდა სასამართლო სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა *29*

B. განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურის რეორგანიზაცია *31*

C. აღმოიფხვრა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ მოსამართლისათვის ვადის გაგრძელების მანკიერი პრაქტიკა *31*

D. განახლდა მოსამართლის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი 32
E. დაინერგა ერთიანი სტანდარტები 32
F. ჩატარებული კვლევები 32
G. მომზადებული ანგარიშები 34
H. სასამართლო მედიაციის ხელშეწყობა 34
I. ღონისძიებები ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად 35
J. სასამართლოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 37
K. საბჭოს სხდომების სიხშირე და რეგულარობა 41
2. ადამიანური რესურსების მართვა 42
A. მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი: 42
B. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 42
C. მოსამართლეთა შერჩევა და თანამდებობაზე განწესება 42
3. იუსტიციის უმაღლესი სკოლა 44
A. შემუშავდა სკოლის სტრატეგიული გეგმა 44
B. მსმენელები 44
C. ვებ-პორტალი 45
D. კურიკულუმების შემუშავება 45
E. ჩატარებულ ტრენინგთა რაოდენობა 45

IV. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობა 47

A. დაინტერესებული პირების სხდომაზე მოწვევის პრაქტიკა 47
B. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომის ჩატარების პრაქტიკა 48
C. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი 49
D. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების საჯაროობა 49
E. საერთო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების გამოქვეყნება 50
F. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები 50

V. მთავარი გამოწვევები 52

A. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართულებით 52
C. ეფექტიანობისა და ხარისხის მიმართულებით 55

წ ი ნ ა თ ქ მ ა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობისა და მისი შედეგების ანგარიშს. ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2013 წლის ივნისიდან განახლებული შემადგენლობით შეუდგა საქმიანობას, შესაბამისად, ანგარიში ასახავს 2013 წლის ივნისიდან 2017 წლის მაისის ჩათვლით პერიოდს. შედეგები შედარებულია 2008-2012 წლების პერიოდთან.

ზოგიერთ შემთხვევაში, მეტი თვალსაჩინოებისათვის, ერთმანეთთან შედარებულია მაჩვენებლები ცაკლეული წლების მიხედვით.

ანგარიშს თან ახლავს შესაბამისი სტატისტიკა, სქემები და დიაგრამები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა მიმართულებით გამოკვეთილ ტენდენციებს.

I. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა

1. ღონისძიებები, გატარებული სასამართლოს სისტემის დამოუკიდებლობისა დამიუკერძოებლობის განმტკიცების მიზნით

A. ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაზრდა

- <u>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის ცვლილების შესაბამისად, საბჭო გახდა მთლიანად პოლიტიკურად ნეიტრალური.</u> გამოირიცხა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პოლიტიკურად მიკერძოებული არამოსამართლე წვერების არჩევა/დანიშვნა. არამოსამართლე წევრები შერჩეულ იქნენ კონკურსის საფუძველზე პროფესიული ნიშნით.

- <u>გაიზრდა მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს - მოსამართლეთა კონფერენციის როლი.</u>

  - ახალი რეგულაციების შესაბამისად, 2013 წელს მოსამართლეთა კონფერენციას პირველად მიეცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საკუთარი წარმომადგენლების არჩევის უფლება. 2013 წლის ივნისში მოსამართლეთა კონფერენციამ აირჩია საბჭოს 8 მოსამართლე წევრი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. ამგვარად, საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობა (9 წევრი 15-დან) არჩეულია მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ. ამასთან, მოსამართლეთა კონფერენციის თითოეულ წევრს აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე კანდიდატის დასახელების უფლება. ადრე მსგავსი უფლებით მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სარგებლობდა.

  - მოსამართლეთა კონფერენცია ტარდება რეგულარულად. 2013 -2017 წლებში მოწვეული იქნა 11 კონფერენცია, მაშინ როდესაც 2008-2012 წლებში ჩატარდა მხოლოდ 3.

  - ჩვეულ პრაქტიკად იქცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხრიდან ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა მოსამართლეთა კონფერენციისათვის და ამ გზით კონფერენციის წინაშე მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.

B. ინდივიდუალური დამოუკიდებლობა

- <u>დაიხვეწა მოსამართლეთა მივლინების წესი და შეიქმნა დამატებითი გარანტიები მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების ან პირადი განცხადებით გათავისუფლებისას საბჭოს მხრიდან თვითნებური მიდგომების გამოსარიცხად;</u> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 29 ნოემბრის №1/207 გადაწყვეტილებით ცვლილება განხორციელდა „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში და დადგინდა პირადი განცხადების საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების და უფლებამოსილების განსახორციელებლად სხვა სასამართლოში მივლინების საკითხის გადაწყვეტისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე შესაბამისი <u>მოსამართლის მოწვევის სავალდებულოობა.</u> ამ გზით საბჭოს თითოეულ წევრს შესაძლებლობა აქვს მოუსმინოს მოსამართლეს და შეაფასოს, რამდენად შეესაბამება სამსახურიდან გათავისუფლება ან სხვა სასამართლოში მივლინება მის ნამდვილ ნებას; ამ გზით პრაქტიკულად აღმოიფხვრა მანკიერი პრაქტიკა მოსამართლეების იძულებისა, „საკუთარი ნებით“ დაეწერათ განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ ან დათანხმებოდნენ თავსმოხვეულ მივლინებას. შემცირდა სხვა სასამართლოში მივლინებული მოსამართლეების რაოდენობაც. ამჟამად სხვა სასამართლოში მივლინებულია მხოლოდ 3 მოსამართლე.

- <u>დაძლეულ იქნა მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვის მანკიერი პრაქტიკა, როდესაც სასამართლოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის პროცედურები ზოგჯერ გამოყენებული იყო სამოსამართლო უფლებამოსილებისაგან არასასურველ მოსამართლეთა ჩამოცილების მიზნით, ამასთან, მათთვის მოსამართლის უფლებამოსილების ხელახლა დაკისრების ნულოვანი პერსპექტივით.</u> საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა არცერთი მოსამართლის რეზერვში ჩარიცხვა. ხოლო რეზერვში არსებულ 4 მოსამართლეს დაეკისრა სამოსამართლო უფლებამოსილებების განხორციელება. ამჟამად მოსამართლეთა რეზერვში არცერთი მოსამართლე არ ირიცხება.

- <u>შეიქმნა პროცედურული და არსებითი გარანტიები, რათა 3 წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეთა მონიტორინგი და შეფასება არ ყოფილიყო გამოყენებული მოსამართლის დამოუკიდებლობის საზიანოდ ანდა მოსამართლის მხრიდან ასეთად აღქმული.</u> დეტალურად განისაზღვრა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების წესი. საბჭოს წევრების მიერ მონიტორინგის ვადის პერიოდში მოსამართლის მიერ განხილული და შემთხვევითობის წესით შერჩეული საქმეების შესწავლისას საბჭოს წევრების მხრიდან მხედველობაში იყო მიღებული უწინარესად პროცესუალური ნორმებისა და ვადების დაცულობა, გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის გამოყენების უნარ-ჩვევები, სასამართლო პროცესების წარმართვის უნარი და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები და არა საკუთრივ გადაწყვეტილებათა შინაარსი ანდა მათი შეცვლისა თუ გაუქმების ფაქტი ზედა ინსტანციებში, რათა ყოველივე ამას არ მიეღო მოსამართლისათვის კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნის ფორმა, რაც შეუთავსებელია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან; გარდა ამისა, შეიქმნა ახალი ორგანო - უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა, რომელიც კანონით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით ან უვადოდ განწესებაზე უარის თქმის თაობაზე.

- <u>ამოქმედდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი.</u> დღეის მდგომარეობით სასამართლოებში 26 მოსამართლეა უვადოდ განწესებული, ხოლო 209 განწესებულია 3 წლის ვადით. ამასთან, 21 მოსამართლე უვადოდ განწესდა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ, ხოლო 5 მოსამართლე პირდაპირ, ხელახალი განწესებისთანავე.

C. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცედურები

- <u>დაძლეულ იქნა არასწორი პრაქტიკა, როდესაც იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს მოსამართლედ განწესების დროს გააჩნდათ დიდი პრიორიტეტი სხვა კანდიდატებთან შედარებით:</u> საბჭო ვაკანტურ ადგილებზე ჩვეულებრივ ნიშნავდა სკოლის კურსდამთავრებულებს, ხოლო დანარჩენი კანდიდატები ინიშნებოდნენ მხოლოდ ვაკანსიის დარჩენის შემთხვევაში.

საბჭომ დაადგინა საერთო კონკურსის წესი მოსამართლეობის მსურველი ყველა კანდიდატისათვის და თანაბარ პირობებში ჩააყენა სკოლის მსმენელი, მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე და ყველა სხვა კანდიდატი.

- <u>საბჭომ შეცვალა მოსამართლეთა კონკურის ჩატარებისა და დანიშვნის კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა</u>, რა დროსაც კონკურსის პროცედურა ხელოვნურად იყო გაყოფილი ორ ეტაპად, და ხდებოდა ჯერ კანდიდატის დანიშვნა ზოგადად მოსამართლედ, კანონით გათვალისწინებული 2/3-ის უმრავლესობის წესით, ხოლო შემდეგ კი - მისი განწესება კონკრეტულ სასამართლოში 2/3-ს წესის გვერდის ავლით - მხოლოდ საბჭოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით, რითაც ირღვეოდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნები და უგულებელყოფდა არამოსამართლე წევრთა პოზიციებს ცალკეულ კანდიდატებთან მიმართებაში. საბჭომ დაამკვიდრა სწორი პრაქტიკა - კონკურსის ჩატარების წესი კონკრეტული ვაკანტური ადგილების მიხედვით, რითაც უზრუნველყო არა მხოლოდ 2/3-ის წესის დაცვა, არამედ შესაძლებელი გახადა კანდიდატთა შეფასება კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობასთან მიმართებაში.

- <u>საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით შეიმუშავა მოსამართლეთა შერჩევის ობიექტური კრიტერიუმები, ქვეკრიტერიუმები, მათი შეფასების მახასიათებლები და შეფასების პრინციპები</u>. გარდა ამისა, გაიწერა დოკუმენტაციის შემოწმების, ინფორმაციის მოძიების, გაცნობისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცედურები. ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვალდებულებები კეთილსინდისიერებისა და კონფიდენციალობის დაცვის, ექს-პარტე კომუნიკაციის აკრძალვის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და სხვა საკითხებზე; დარეგულირდა ინფორმაციის კონფიდენციალურობის, კომუნიკაციის შეზღუდვისა და გასაუბრების ჩატარების სხვა საკითხები. გარდა ზემოაღნიშნულისა, დამტკიცდა მოსამართლეობის კანდიდატის განაცხადისა და თანხმობის, ასევე ინფორმაციის მოძიების მიზნით რესპონდენტთა მიერ შესავსები კითხვარების ფორმები. იურისტი და არაიურისტი რესპონდენტებისათვის დამტკიცდა განსხვავებული კითხვარები;

- <u>საბჭომ საგრძნობლად გააუმჯობესა მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრების ჩატარების პრაქტიკა,</u> შემუშავდა დასასმელი კითხვების ფართო ჩამონათვალი, კანდიდატებს ეთმობათ თანაბარი დრო, ესმევათ ერთგვაროვანი კითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს კანდიდატის ცოდნისა და პიროვნების შესწავლას, მათი პროფესიული კომპეტენციისა და მორალური ღირებულებების გამორკვევას; გასაუბრება ღიაა და დამსწრეთა გამორიცხვა დასაშვებია მხოლოდ კანდიდატის მოთხოვნით;

D. საქმეთა ავტომატური განაწილება

- <u>გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საქმეთა ავტომატური/ელექტრონული განაწილების უზრუნველყოფის მიზნით.</u> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის შესაბამისად, შემოღებულ იქნა საქმის ავტომატური განაწილების პრინციპი, რომლის თანახმად, რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. ახალი წესის თანახმად, მხოლოდ ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას არის დასაშვები სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა განაწილება ელექტრონული სისტემის გარეშე, თუმცა ამ შემთხვევაშიც განაწილება ხდება კანონით დადგენილი რიგითობის წესისა და პირობების დაცვით. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების უზრუნველსაყოფად, რომელიც პარლამენტმა 2016 წლის 29 დეკემბერს მესამე მოსმენით დაამტკიცა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის პირველი მაისს მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. 2017 წლის 1 ივლისიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამოქმედდა საქმეთა ელექტრონული განაწილების პილოტური პროგრამა; ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან კი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმეთა ავტომატური განაწილების წესი სრულად ამოქმედდება საერთო სასამართლოების მთელ სისტემაში.

E. ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიების გაზრდა

- <u>2014 წელს მოსამართლეთა ხელფასები გაორმაგდა</u>, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით სასამართლოს პერსონალის ხელფასების მიმართ.

2. *სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობისა და სასამართლოსადმი ნდობის ზრდის დამადასტურებელი თვალსაჩინო შედეგები*

A. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობის მკვეთრი გაზრდა

- <u>მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობა.</u> თუ 2005-2013 წლებში კანონის კონსტიტუციურობის გადამოწმების მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი იყო 0, 2014-17 წლებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 51-ს. საერთო ჯამში კი, 1996 წლიდან დღემდე საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებულ საკონსტიტუციო წარდგინებათა ოდენობა შეადგენს 75-ს, რომლის 68% (51) მოდის 2014-17 წლებზე.

B. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსადმი მიმართვიანობის მკვეთრი შემცირება

- <u>2009-2012 წლებთან შედარებით, 2013-2016 წლებში 87%-ით იკლო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარგზავნლი საჩივრების რაოდენობამ.</u>

იხ. დიაგრამა:



C. სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის გამოყენების ლიბერალიზაცია

- *<u>გამამართლებელი განაჩენების რაოდენობის მკვეთრი ზრდა</u>*

<u>საანგარიშო პერიოდში წინა წლებთან შედარებით 82%-ით გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. ამასთან, ეს ტენდენცია მზარდია</u>. 2008-2011 წლებში გამამართლებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 112 პირის მიმართ, ხოლო 2013-2016 წლებში- 643 პირის მიმართ. ამავე წლებში, წლის განმავლობაში გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობის ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი მაჩვენებლების შედარება ნათელს ხდის, რომ **ამ მიმართებით ვითარება დრამატულად შეიცვალა უკეთესობისაკენ.** მაგალითისათვის, 2010 წელს გამამართლებელი განაჩენი დადგინდა მხოლოდ 8 პირის მიმართ, მაშინ როდესაც 2016 წელს 227 პირი გამართლდა. ამასთან, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი არის 2,3%-ით მეტი, ვიდრე 2015 წლის მაჩვენებელი და ყველაზე მაღალი შედეგი ბოლო 16 წლის განმავლობაში.

- <u>სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტის გახშირება</u>

<u>საგრძნობია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემთხვევების ზრდის ტენდენცია.</u> 2008-11 წლებში, არსებითად განხილული საქმეებიდან სისხლის სამართლის საქმე შეწყდა 784 პირის მიმართ, ხოლო 2013-16 წლებში - 931. შესაბამისად, **147-ით მეტი პირის მიმართ.** გამამართლებელი განაჩენების ზრდასთან ერთად, ეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის დამადასტურებელი თვალსაჩინო შედეგებია. იმავდროულად, ეს მონაცემები არაპირდაპირ მეტყველებს პროკურატურისაგან სასამართლოს დამოუკიდებლობის ზრდაზე და გონივრულ ეჭვს მიღმა სისხლისსამართლებრივი სტანდარტის განუხრელ გამოყენებაზე სასამართლოების მხრიდან.

- <u>აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემცირება</u>

<u>შემცირებულია აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენება და შუამდგომლობათა რაოდენობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.</u> 2010 წელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა 8761 პირს, ხოლო 2016 წელს მხოლოდ 5044 პირს. ამგვარად, 2010 წელთან შედარებით, 2016 წელს პატიმრობის გამოყენება შემცირებულია 53%-ით. გარდა ამისა, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით

7,4%-ით შემცირდა საგამოძიებო ორგანოებიდან საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე შემოსული შუამდგომლობების რაოდენობა. ამასთან შეფარდებული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების ხვედრითმა წილმა 2010 წელს შეადგინა 46%, ხოლო 2016 წელს იგივე მაჩვენებელი 71%-მდე გაიზარდა.

- <u>თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის შემცირება</u>

<u>მნიშვნელოვნად შემცირებულია სასჯელის სახედ მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა.</u> თუ, 2008-11 წლებში 8 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5583 პირს, აღნიშნული მაჩვენებელი 2013-16 წლებში 891-ს უტოლდება. შესაბამისად, გვაქვს 84%-ნი კლება. ამასთან კლება შეინიშნება თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის სხვა მაჩვენებლებზეც.

იხ. დიაგრამა:



- <u>პროკურატურის სხვადასხვა ტიპის შუამდგომლობებზე უარის შემთხვევათა გაზრდა</u>

<u>შემცირებულია საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.</u> 2010-2012 წლებში საგამოძიებო ორგანოებიდან შემოვიდა 46651 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 38037 (82%), ხოლო 2014-16 წლებში შემოსულ შუამდგომლობათა რაოდენობამ შეადგინა 50355, საიდანაც დასრულდა 28313 (56%). შესაბამისად, დაკმაყოფილებულ შუამდგომლობათა რაოდენობა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით **შემცირდა 26%-ით.**

- <u>აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობზე უარის შემთხვევათა გაზრდა</u>

<u>მნიშვნელოვნად გაიზარდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევები.</u> მაგალითად, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2009-2012 წლებში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა მხოლოდ 3 შემთხვევაში, მხოლოდ 2016-ს წელს პროკურატურას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა 174-ჯერ, რამაც, ჯამში, **98%-ანი განსხვავება შეადგინა.**

იხ. დიაგრამა:



- <u>არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემცირება</u>

<u>უპრეცედენტოდ იკლო არასრუწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკამ.</u> 2010 წელს 296 არასრულწლოვანს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. ხოლო2016 წელს მხოლოდ 43 არასრულწლოვანს.

შესაბამისად, არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება **70%-ით არის შემცირებული.**

იხ. დიაგრამა:



- **<u>არასაპატიმრო ღონისძიებების ხვედრითი წილის ზრდა</u>**

<u>2008-2012 წლებთან შედარებით 2013-2016 წლებში 20%-ით გაზრდილია არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება.</u>

- **<u>გირაოს თანხაზე პროკურატურის შუამდგომლობებზე უარის შემთხვევების გაზრდა და გირაოს თანხის შემცირება</u>**

➢ <u>3.5-ჯერ (61%) შემცირებულია შემთხვევათა რაოდენობა, როდესაც სასამართლო სრული მოცულობით აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას გირაოს თანხის შესახებ.</u> თუ 2012 წელს პროკურატურიდან შესული შუამდგომლობათა 86% კმაყოფილდებოდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელს **25%-მდე შემცირდა.**

➢ <u>თბილისის საქალაქო სასამართლოში 94%-ით შემცირებულია აღკვეთის ღონისძიები სახედ მოთხოვნილი გირაოს თანხის სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი.</u> 2009-12 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში სრულად დაკმაყოფილებული გირაოს საერთო ოდენობა 91,412,521 ლარს, ხოლო 2013-16 წლებში 5,266,000 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, სახეზეა ***94%იანი კლება.***

მეტიც, შედარებისთვის 2011 წელს გირაოს ოდენობა შეადგენდა 30,990,000 ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს გირაოს მაჩვენებელმა 611,500 ლარი შეადგინა.

იხ. ცხრილი:



- <u>სისხლის სამართლის საქმეების გასაჩივრების შემცირება</u>

<u>შემცირებულია სისხლის სამართლის საქმეებზე გასაჩივრების მაჩვენებელი.</u> 2009-2012 წლებში I ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ იქნა სისხლის სამართლის 56524 საქმე და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრდა მათი 14%; ხოლო 2013-16 წლებში განხილულ იქნა 57930 საქმე და ზემდგომ ინსტანციაში მათგან გასაჩივრდა მხოლოდ 5227 საქმე, რაც შეადგენს - 9%-ს.

- <u>სასჯელის სახედ დანიშნული ჯარიმის ოდენობის შემცირება</u>

<u>თბილისის საქალაქო სასამართლოში 79%-ით შემცირებულია სასჯელის სახედ დანიშნული ჯარიმის ოდენობა.</u> თბილისის საქალაქო სასამართლოში 2009-12 წლებში გამოყენებული ჯარიმის საერთო ოდენობა 229,389,566 ლარს შეადგენდა, ხოლო 2013-

16 წლებში 48,707,767 ლარს. შესაბამისად, სახეზეა 79%-ანი კლება. შედარებისთვის, 2011 წელს გამოყენებული ჯარიმის ოდენობა შეადგენდა 91,671,309 ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს ჯარიმის მაჩვენებელი 12,318,215 ლარი იყო. ამ შემთხვევაშიც, კლების ტენდენცია შეიმჩნევა.

იხ. ცხრილი:



D. ლიბერალიზაცია ადმინისტრაციული სამართალწარმოების სფეროში

- <u>მეტი მოქალაქე იგებს ადმინისტრაციულ დავას სახელმწიფოს წინააღმდეგ</u>

<u>2016 წელს დავების მხოლოდ 40% დასრულდა სახელმწიფო ორგანოების სასარგებლოდ</u>, მაშინ როდესაც, 2011 წელს სახელმწიფომ მოიგო დავების 66 %. კერძო პირთა სასარგებლოდ ადმინისტრაციულ დავათა გადაწყვეტის სტატისტიკა ინსტანციების მიხედვით შემდეგია:

- თბილისის საქალაქო სასამართლოში - ***<u>გაიზარდა 17,5%-ით;</u>***
- სააპელაციო სასამართლოებში - ***<u>გაიზარდა 21%-ით;</u>***
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში -***<u>გაიზარდა 23,4%-ით.</u>***

იხ. დიაგრამა:



- **მეტი საგადასახადო დავა სრულდება კერძო პირთა სასარგებლოდ.**

➢ 2010 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში გაიზარდა <u>საგადასახადო დავების კერძო პირთა სასარგებლოდ გადაწყვეტის ტენდენცია; ამასთან ზრდის ტენდენცია შეინიშნება ყველა ინსტანციის სასამართლოში:</u>

- ○ თბილისის საქალაქო სასამართლოში -***<u>გაიზარდა 1,3%-ით;</u>***
- ○ სააპელაციო სასამართლოებში -***<u>გაიზარდა 22,5%-ით;</u>***
- ○ საქართველოს უზენაეს სასამართლოში -***<u>გაიზარდა 25%-ით;</u>***

➢ <u>საქართველოს უზენაეს სასამართლოში საგადასახადო დავების დაკმაყოფილების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:</u> 2008-11 წლებში განხილულ იქნა 925 საკასაციო საჩივარი და ფიზიკური/იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა 574(62%), ხოლო 2012-16 წლებში განხილულ იქნა 334

საკასაციო საჩივარი და ფიზიკური/იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა 74%. შესაბამისად **შეინიშნება 12%-იანი ზრდა.**

- **<u>უფრო ხშირად კმაყოფილდება საჩივრები პოლიციისა და „სითი პარკის“ მიერ შფარდებულ ჯარიმებზე.</u>**

<u>გაიზარდა პოლიციისა და „სითი პარკის“ გასაჩივრებული ჯარიმების დაკმაყოფილების სტატისტიკაც.</u> 2016 წელს სასამართლომ 44-ჯერ მეტი, (1229) საჩივარი განიხილა, ვიდრე 2011 წელს (28). მათგან დაკმაყოფილდა საჩივრების 51,8%. შედარებისათვის 2011 წელს საჩივრების სიმცირის მიუხედავად დაკმაყოფილდა მხოლოდ 11%.

- **<u>68%-ით შემცირდა ადმინისტრაციულ პატიმრობათა რაოდენობა</u>**

გამოვლენილ სამართალდარღვევათა რაოდენობამ2013-2016 წლებში შეადგინა 120201, ხოლო იმავე წლებში ადმინისტრაციულ პატიმრობათა რაოდენობამ შეადგინა 5939. შედარებისათვის, 2009-2012 წლებში სამართალდარღვევათა რაოდენობა შეადგენდა 128453-ს, ხოლო ადმინისტრაციულ პატიმრობათა რაოდენობამ - 18288.

იხ. დიაგრამა:



E. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ევროპული კონვენციის გამოყენება

საგრძნობლად გაუმჯობესდა საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლის ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევები და ხარისხი. იუსტიციის უმაღლესი საბჭომ იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და პარტნიორი (დონორი) ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უკანასკნელი 4 წლის მანძილზე საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლის მიდგომების, პრინციპებისა და სტანდარტების ეფექტიან გამოყენებასა და დანერგვას ეროვნულ სამართალში.

ამის დასტურია 2017 წელს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის -„საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ - ფარგლებში მომზადებული კვლევის - „საქართველოს

საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულიკონვენციის გამოყენების სტანდარტები“[1] - შედეგები.

კვლევის ავტორის დასკვნით შესწავლილი გადაწყვეტილებების ანალიზი ცალსახად მეტყველებს საქართველოს საერთო სასამართლოების უნარიანობაზე ეფექტიანად გამოიყენონ პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები და ამ გზით უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად. კვლევის შედეგების მიხედვით, „საქართველოს საერთო სასამართლოები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ეროვნული სამართლის ორგანულ ნაწილად აღიქვამენ და წამყვან მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი გადაწყვეტილებების დასაბუთებისას... საერთო სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არამხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გვერდიგვერდ, არამედ საკანონმდებლო ხარვეზის შესავსებად და ზოგიერთ შემთხვევაში არსებული საკანონმდებლო დანაწესის საწინააღმდეგოდაც იყენებენ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და ნორმის უნივერსალური განმარტების პრინციპის შესაბამისად საქართველოს სამართლის სისტემაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს ადგენენ“.

როგორც თავად კვლევაშია მითითებული, „კვლევის ფარგლებში განხილულ გადაწყვეტილებებში საქართველოს საერთო სასამართლო წარმოჩინდება, როგორც ადამიანის უფლებათა უწინარესი გარანტორი, რომელიც უზრუნველყოფს კონვენციის სრულ, ქმედით და პირდაპირ გამოყენებას და აცნობიერებს ევროპული სასამართლოს სუბსიდიურ როლს. კვლევის ფარგლებში შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან ჩანს საქართველოს საერთო სასამართლოების საერთო მიდგომა, შეასრულონ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები და ევროპული სასამართლოს სტანდარტები გამოიყენონ ადამიანის უფლებათა შინაარსის და მოცულობის სათანადო განმარტებისათვის, კონფლიქტურ ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობის დადგენის, ჩარევის მართლზომიერების შეფასებისა და საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების ეროვნულ დონეზე პრაქტიკული განხორციელებისათვის... მაგალითები ცხადყოფს რომ ამას საქართველოს სასამართლოები მინიჭებული შეხედულების ფარგლებში წარმატებით ახორციელებენ.“

[1]„საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები“, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი, კვლევის სრული ვერსია შეგიძლიათ იხ. აქ:https://rm.coe.int/168070a54c, [08.06.2017].

კვლევაში გამოკვეთილია იმგვარი შემთხვევებიც, „როდესაც ეროვნულ სასამართლოს არასწორად ან არასრულად აქვს გამოყენებულ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა“, თუმცა, აღნიშნულია ისიც, რომ „ასეთი შემთხვევები აშკარა უმცირესობაშია“.

F. სასამართლოს დამოუკიდებელობის აღქმა

<u>პრაქტიკოსი იურისტები თვლიან, რომ დღეს სასამართლო გაცილებით დამოუკიდებელია ვიდრე 5 და 10 წლის წინ.</u> ამაზე მეტყველებს 2005-2016 წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევის შედეგები, რომელიც ჩაატარა ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა”[2]. კითხვაზე - „როგორ შეაფასებდით სასამართლოს დამოუკიდებლობას 10 წლის წინ?“ - პასუხი - „საშუალოზე მაღალი“ და „მაღალი“ - მიუთითა პროკურორების 8%-მა, ადვოკატების 8%-მა, ყოფილი მოსამართლეების 23%-მა, მოქმედი მოსამართლეების 6%-მა.

კითხვაზე „როგორ შეაფასებდით სასამართლოს დამოუკიდებლობას 5 წლის წინ?“ პასუხი „საშუალოზე მაღალი“ და „მაღალი“ მიუთითა პროკურორების 10%-მა, ადვოკატების 8%-მა, ყოფილი მოსამართლეების 6%-მა, მოქმედი მოსამართლეების 6%-მა, ხოლო კითხვაზე -„როგორ შეაფასებდით სასამართლოს დამოუკიდებლობას დღეს?“ -პასუხი - „საშუალოზე მაღალი“ და „მაღალი“ - მიუთითა პროკურორების 92%-მა, ადვოკატების 36%-მა, ყოფილი მოსამართლეების 11%-მა, მოქმედი მოსამართლეების 82%-მა. როგორც კვლევა აჩვენებს, გამოკითხვაში ჩართულმა ყველა პრაქტიკოსმა იურისტმა მოსამართლეების დამოუკიდებლობის ხარისხის მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითა.

3. საერთაშორისო აღიარება

განხორციელებულ რეფორმებს და სასამართლოს დამოუკიდებლობის ზრდას ცხადია მოჰყვა საგულისხმო საერთაშორისო აღიარებაც. საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ზრდაზე ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა კვლევაში, კერძოდ:

[2]„სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორები“, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, კვლევის სრული ვერსია შეგიძლიათ იხ. აქ: http://article42.ge/?p=6125, [08.06.2017].

A. World Justice Project

- მსოფლიო ბანკის ინიციატივით სამართლის უზენაესობის პროექტის მიერ გამოცემულ სამართლის უზენაესობის ინდექსის 2014-2016 წლის მონაცემების მიხედვით (World Justice Project Rule of Law index), საქართველო სამართლის უზენაესობის თვალსაზრისით საშუალო შემოსავლის მქონე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის იკავებს **პირველ ადგილს[3].**

B. Freedom House

- Freedom House-ის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში წინსვლა შეინიშნება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განმტკიცების კუთხით, რამაც განაპირობა ქვეყნის დემოკრატიის საერთო შეფასების გაუმჯობესება. ასეთივე შეფასება დაიმსახურა ქართულმა მართლმსაჯულებამ 2017 წელსაც. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის მონაცემები საგრძნობლად აღემატება წინა 4 წლის შეფასების მაჩვენებლებს[4].

C. რეგიონული დიალოგის შესახებ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეობა

- 2015-2017 წწ. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია) სასამართლო რეფორმის საკითხებზე რეგიონული დიალოგის შესახებ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე გახდა საქართველო, როგორც რეფორმების თვალსაზრისით წამყვანი და განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი. რომელთა შორის გადანაწილდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ წამოჭრილი 9 მნიშვნლოვანი საკითხი: მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები და სამოსამართლო ეთიკა; მოსამართლეთა დანიშვნა, შეფასება და დაწინაურება; მოსამართლის დამოუკიდებლობა; ელექტრონული მართლმსაჯულება; სასამართლო რეფორმის საკითხები; დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები; მხარეთა თანასწორობა და უფასო იურიდიული დახმარება. პროექტის ფარგლებში თითოეული ქვეყნის, როგორც

[3]World Justice Project Rule of Law index,სრული მონაცემები შეგიძლიათ იხ. აქ:https://worldjusticeproject.org/sites/default/files/documents/RoLI_Final-Digital_0.pdf,[08.06.2017].

[4]Freedom House, Nations is Transit Score, სრული მონაცემები შეგიძლიათ იხ. აქ:https://freedomhouse.org/report/nations-transit/2017/georgia, [08.06.2017].

სახელმწიფო ორგანოების, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით მომზადდა ანგარიშები ყველა ჩამოთვლილ საკითხზე[5].

4. საქმიანობა მოსამართლეთა მონიტორინგის სფეროში

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მნიშვნელოვანი და შრომატევადი საქმიანობა გასწია 3 წლით დანიშნული მოსამართლეების შეფასების სფეროში. მან კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიმუშავა და დანერგა მოსამართლის საქმიანობის შეფასების წესი, პროცედურა და შესაბამისი მეთოდოლოგია. მიუხედავად, ამგვარი გამოცდილების არარსებობისა, <u>საბჭომ შეძლო ადეკვატურად გამკლავებოდა ამ მნიშვნელოვან ამოცანას.</u>

A. გაწეული სამუშაო

2013-2017 წლებში 3 წლის გამოსაცდელი ვადით მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა 209 მოსამართლე. 2013 წლიდან დღემდე მონიტორინგის ფარგლებში უკვე მომზადდა 370 დასკვნა. აქედან:

- 21 მოსამართლე შეფასდა მონიტორინგის სამივე წლის მონაცემების მიხედვით, და თითოეულზე შეიქმნა 6 დასკვნა საბჭოს სხვადასხვა წევრის მიერ (ორ-ორი დასკვნა თითოეულ წელს);
- 24 მოსამართლე შეფასებულია მონიტორინგის ორი წლის მიხედვით და თითოეულზე შედგენილია საბჭოს წევრების 4 დასკვნა.
- ხოლო 70 მოსამართლე შეფასებულია მონიტორინგის ერთი წლის მონაცემების მიხედვით და მათზე არსებობს საბჭოს ორი წევრის დასკვნა.

[5]სრული მონაცემები შეგიძლიათ იხ. აქ: http://hcoj.gov.ge/ge/sasamartlo-reformis-sakitkhebze-regionuli-dialogi-gaimarta/2567, [08.06.2017].

მთლიანობაში საბჭოს წევრებმა მოამზადეს 370 დასკვნა 113 მოსამართლის მიმართ. სხვადასხვა ეტაპზე თითო მოსამართლე წევრმა მოამზადა საშუალოდ 23 დასკვნა, ხოლო თითო არამოსამართლე წევრმა - 37 დასკვნა. საშუალოდ, დასკვნის მოცულობა შეადგენს 15 გვერდს.

B. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია

შეფასება განხორციელდა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების ძირითადი კრიტერიუმებით.

- *<u>კეთილსინდისიერების</u>* შეფასება მოხდა შემდეგი 5 მახასიათებლით: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულებების დაცვა.
- *<u>კომპეტენტურობის</u>* შეფასება მოხდა შემდეგი 7 მახასიათებლით: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

ამ კრიტერიუმებით შეფასებისას საბჭოს წევრები, თითოეულ მოსამართლესთან მიმართებაში დაეყრდნენ:

- კოლეგა მოსამართლეების, საქმის მხარეების, ადვოკატების, პროკურორების, იურიდიული წრეების წარმომადგენლების, სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მიერ მოწოდებულ დახასიათება-შეფასებებს;
- საბჭოს წევრის მიერ უშუალოდ მოსამართლესთან, სასამართლოს თავმჯდომარესთან, კოლეგებთან თუ აპარატის თანამშრომლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგებსა და შთაბეჭდილებას;
- სტატისტიკურ ინფორმაციას მოსამართლის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ, განხილულ და გასაჩივრებულ საქმეთა

რაოდენობას, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, საპროცესო ვადებისა და შრომის დისციპლინის დაცვას; გადაწყვეტილებათა სტაბილურობას. ხშირად შეფასება ხორციელდება შედარებით ასპექტშიც;

- მოსამართლის მიერ განხორციელებული თვითშეფასების ანალიზს და მის საერთო პროფესიულ ბიოგრაფიას;
- მოსამართლის მიერ ჩატარებულ სასამართლო პროცესებზე დასწრებისა და სხვა სასამართლოს პროცესების აუდიო- და ვიდეო-ჩანაწერების ანალიზს;
- მოსამართლის მიერ განხილული და შემთხვევითობის წესით შერჩეული 5 საქმის შესწავლის შედეგებს;
- ზოგიერთ შესატყვის შემთხვევაში მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას;
- მოსამართლის თაობაზე მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას;
- ინფორმაციას მოსამართლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის გამოთხოვა ხდება საჯარო სამსახურის ბიუროდან);
- ინფორმაციას მისი შემოსავლის წყაროს და აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების, ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. (ინფორმაციის გამოთხოვა ხდება სს ,,კრედიტ-ინფოდან“ და სსიპ შემოსავლების სამსახურიდან);
- ინფორმაციას მოსამართლის მიმართა ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების თაობაზე (ინფორმაციის გამოთხოვა ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან);
- ინფორმაციას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე;
- ინფორმაციას მოსამართლის მონაწილეობით (მხარედ, წარმომადგენლად) სასამართლოში წარმართული დავების არსებობის შესახებ;

- მის წინააღმდეგ სამოქალაქო დავების ან სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების არსებობის შემოწმებას;
- ინფორმაციას მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაციის შესახებ;
- ინფორმაციას პროფესიული ნიშნით გამართულ სემინარებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში მოსამართლის მონაწილეობის, სხვა პროფესიული აქტივობის, ინიციატივების, სამეცნიერო პუბლიკაციებისა თუ სხვა პროექტების მომზადების შესახებ;
- ინფორმაციას მოსამართლის მენეჯერული და სხვა უნარების (კომპიუტერი, უცხო ენები ა.შ.) თაობაზე;

C. შედეგები

საბჭომ მთლიანობაში უკვე დაასრულა 3 წლიანი მონიტორინგის პროცესი 21 მოსამართლის მიმართ; კომპეტენტურობის კრიტერიუმით ყველა მოსამართლემ გადალახა დაწესებული 70%-იანი ზღვარი. კომპეტენტურობის კრიტერიუმით მხოლოდ ერთი მოსამართლე შეფასდა ერთი წევრის მიერ ნეგატიურად. ჯამში ყველა მოსამართლემ დააკმაყოფილა უვადოდ განწესების პირობები და შესაბამისად საბჭომაც მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლედ მათი უვადოდ დანიშვნის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მომზადებული დასკვნა ხელმისაწვდომია შეფასებული მოსამართლისათვის, არცერთ შეფასებულ მოსამართლეს არ გამოუთქვამს რაიმე შენიშვნა ან უკმაყოფილება შეფასების შედეგების გამო, ან რაიმე სამდურავი მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მხრიდან მათი დამოუკიდებლობის დარღვევისა თუ უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე.

II. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ბოლო 4 წლის განმავლობაში არაერთი აქტივობა განხორციელდა, კერძოდ:

A. დისციპლინური სამართალწარმოების სხდომათა ჩატარების რეგულარობა

- დამკვიდრდა დისციპლინური სამართალწარმოების სხდომათა ჩატარების რეგულარობა. შედეგად, თუ 2010-12 წლებში ჩატარდა მხოლოდ 18 დისციპლინური სხდომა, 20013-16 წლებში ეს მაჩვენებელი 50-ს გაუტოლდა.

B. ცვლილებები დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების კანონში

- <u>მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“</u>კანონში, რომლითაც დადგინდა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე (თუ თავად მოსამართლემ არ მოითხოვა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გასაჯაროება) კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება.

- სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწის მიზნით „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, <u>გაფართოვდა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლები,</u> რომელთაგან ერთ-ერთ საფუძვლად განისაზღვრა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ან/და წინადადებაში მოცემული ინფორმაცია მოსამართლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდეს.

- <u>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის აცილების საკითხი</u>, მის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის შესახებ საჩივრის მიღების შემთხვევაში.

C. განხილულ საქმეთა სტატისტიკა

- <u>2014-2017 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილულ იქნა 985 დისციპლინური საჩივარი</u>, რომელთაგან:
    - 855 საქმეზე სამართალწარმოება შეწყდა;
    - 34 საქმეზე მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
    - 82 საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება;
    - 9 საქმეზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული;
    - 5 საქმე გაიგზავნა სადისციპლინო კოლეგიაში.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, აღნიშნული 958 დისციპლინური საჩივრიდან 85% ეხებოდა გადაწყვეტილების კანონიერებას; 10% - საქმის განხილვის გაჭიანურებას; 3% - ეთიკის ნორმების დარღვევას, ხოლო 2% - სხვა დარღვევებს (მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებას, მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას, კორუფციულ სამართალდარღვევას და სხვა). ვინაიდან დისციპლინური საჩივრების უმრავლესობა (85%) შეეხებოდა გადაწყვეტილების კანონიერების ეჭვის ქვეშ დაყენებას, მათზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეწყვიტა დისციპლინური სამართალწარმოება. დარჩენილი საჩივრების თითქმის 90% შეეხებოდა მოსამართლეთა მხრიდან საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დარღვევას. მართალია საქმის განხილვის გაჭიანურება საზოგადოდ წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, მაგრამ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში შესაბამისი მოსამართლის საქმეებით გადატვირთულობა (რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებოდ იყო გამოკვლეული), უმეტეს შემთხვევაში მათზეც შეწყვიტა დისციპლინური დევნა, რათა უზრუნველეყო დისციპლინურ სამართალწარმოებაში ბრალეული პასუხიმგებლობის პრინციპის გატარება. პარალელურად, საბჭომ გადადგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი მოსამართლეთა

რაოდენობის გაზრდისა და საქმის წარმოების მენეჯმენტის ეფექტიანობის გასაზრდელად.

ამასთან, 2017 წლის 20 ივნისის მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველი რჩება 2016 წლის ბოლოს და 2017 წლის მანძილზე შემოსული 99 დისციპლინური საჩივარი.

D. დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი

- <u>შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი,</u> რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ, დისციპლინური პროცედურების ეფექტურობა, სასამართლოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის სათანადო დაცვა და მეორე მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოების შესაბამისობა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებთან. საბჭომ ინსპექტორის კანდიდატურის შესარჩევად 8 მაისს გამოაცხადა კონკურსი და 16 ივნისს გაესაუბრა კანდიდატებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული და საბჭომ ამ საკითხის გადაწყვეტა გადააბარა საბჭოს ახალ შემადგენლობას.

E. დიალოგი დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ეთიკის საკითხებზე

<u>იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად იყო ჩართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში სასამართლო რეფორმის საკითხზე რეგიონული დიალოგის ფორმატში</u>, რომლის ერთ-ერთი განსახილველ თემას წარმოადგენდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და ეთიკა; შედეგად განხორციელდა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკისა და გამოცდილების ანალიზი, შემუშავებულ იქნა არაერთი წინადადება და რეკომენდაცია;

III. ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად იუსტიციის უმაღლესი საბჭომ განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მათი ერთი ნაწილი მიმართული იყო საკუთრივ სასამართლო სისტემაში ამ კუთხით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისაკენ; შედეგად მკაფიოდ განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას სასამართლო სისტემა. დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა, რომლებმაც საგრძნობლად უნდა გაზარდოს სასამართლო სისტემის ხარისხი და ეფექტიანობა. სასამართლო სისტემის სტრატეგიის დოკუმენტში ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდა ცალკე სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა.

ქვემოთ გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი ის ძირითადი ღონისძიებები, რაც სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად გატარდა ბოლო 4 წლის განმავლობაში.

A. შემუშავდა სასამართლო სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

- <u>მნიშვნელობა</u>

  პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა და 2017 წლის 29 მაისს დაამტკიცა საერთო სასამართლოების სისტემის განვითარების სტრატეგია და ხუთწლიანი (2017-2018 წწ.) სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება სასამართლო სისტემის რეფორმირების თვისებრივად ახალ საფეხურზე გადასვლას გულისხმობს, ვინაიდან სტრატეგიული გეგმის კვალობაზე ამიერიდან სასამართლოს რეფორმირება მოხდება გეგმაზომიერად, ორგანიზებულად და თანმიმდევრულად, პრიორიტეტების მიხედვითა და რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არსებობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეხმარება კონკრეტული მიმართულებით წარმართოს საბჭოს საქმიანობა და ადეკვატური, წინასწარ გაწერილი ღონისძიებებით ეფექტიანად განახორციელოს სასამართლოს განვითარება ყველა მიმართულებით.

- <u>ჩართულობა</u>

  - სასამართლოს განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელდა იურიდიული საზოგადოების, არასამთავრობო სექტორისა და დაინტერესებული უწყებების ფართო ჩართულობით. აღნიშნული დოკუმენტები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში შეიმუშავა სპეციალურად შექმნილმა სტრატეგიულმა კომიტეტმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მოსამართლეთა კორპუსის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს, სახალხო დამცველის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ადვოკატთა ასოციაციის, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. მუშაობა მიმდინარეობდა 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

- <u>პროცესის მართვა და საერთაშორისო დახმარება</u>

  - სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის მართვას ორგანიზებას უწევდა საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფი“. პროცესში ასევე, აქტიურად იყვნენ ჩართული ექსპერტი ალეშ ზალარი (სლოვენია) მოსამართლე რენატე ვინტერი (ავსტრია) და ექსპერტი დიანა კოვაჩევა (ბულგარეთი).

- <u>ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები</u>

  - მართლმსაჯულების სტრატეგია და 2 წლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, ესენია: *დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ანგარიშვალდებულება, ხარისხიანი მართლმსაჯულება, სასამართლო სისტემის ეფექტიანობა; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.* თითოეული მიმართულების მიხედვით დოკუმენტში ასახულია რეალური გამოწვევები, განვითარების სტრატეგიულ მიმართულებები და შესატყვისი კონკრეტული ღონისძიებები. დოკუმენტში ასახულია სტრატეგიის პრაქტიკულ განხორციელებაზე მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და მეთოდოლოგია.

B. განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურის რეორგანიზაცია

- <u>განახლდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა და შეიქმნა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:</u>
  - მენეჯმენტის დეპარტამენტი;
  - დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატი;
  - მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი.
- განხორციელდა თბილისის საქალაქო, თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოში <u>სტრუქტურის ოპტიმიზაცია.</u> შემუშავდა და განახლებული წესით განხორციელდა სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. განახლებული კითხვარი ეფუძნება მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) 2010 წლის 10 სექტემბრის სახელმძღვანელო პრინციპებს.

C. აღმოიფხვრა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ მოსამართლისათვის ვადის გაგრძელების მანკიერი პრაქტიკა

საბჭომ წერტილი დაუსვა პრაქტიკას, როდესაც უფლებამოსილების ვადის დასასრულს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადას უგრძელებდა მის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის დასრულებამდე, ეს პრაქტიკაში იწვევდა უფლებამოსილების ვადის ხელოვნურად გახანგრძლივებას საკმაოდ დიდი ხნით (ზოგიერთ შემთხვევაში ერთ წელზე მეტი ვადით), საქმეთა განხილვის დაჩქარების მაგივრად ხელს უწყობდა საქმეთა განხილვის ხელოვნურად გაჭიანურებას ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან; ასევე, აბრკოლებდა ადგილის ვაკანტურად გამოცხადებასა და ახალი ძალებით სასამართლოს შევსებას. ამ პრობლემის დაძლევის მიზნით საბჭომ 2015 წლიდან დაადგინა მოსამართლისათვის ვადის ამოწურვისთანავე უფლებამოსილების სავალდებულო შეწყვეტის პრაქტიკა.

D. განახლდა მოსამართლის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი

მოსამართლის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა კრიტერიუმების შეფასების კოეფიციენტები; ეს უზრუნველყოფს მოსამართლის საქმიანობის სამართლიანად და ობიექტურად ასახვას. ასევე გაუქმდა მოსამართლის შეფასების შედეგების მიხედვით დანამატის გაცემის შესაძლებლობა.

E. დაინერგა ერთიანი სტანდარტები

- 2016 წელს სასამართლო სისტემაში ხარისხის განმსაზღვრელი სტანდარტების დანერგვისა და მათი კონტროლის მექანიზმების დახვეწის მიზნით გაიმართა სასამართლოს მენეჯერების პირველი სამუშაო შეხვედრა (ფორუმი); შედეგად განისაზღვრა 15 საკითხი, რომელთა შეფასება/კონტროლი აუცილებელია სასამართლოს საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის განსაზღვრის თვალსაზრისით. საკითხები დაიყო პრიორიტეტების მიხედვით, რომელთაგან პირველ სამ საკითხზე, სასამართლოს მენეჯერების მონაწილეობით, დაიწყო სტანდარტის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავება. ერთ-ერთი ასეთი საკითხია შინაგანაწესის ერთიანი სტანდარტის შემუშავება, ამჟამად ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

- ,,მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიასთან“ თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი სასამართლოს მოხელეთათვის ადამიანური და მატერიალური რესურსების ადეკვატურობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესწავლის მიზნით. ტრენინგი ჩაატარა მართლმსაჯულების ეფექტიანობისათვის ევროპული კომისიის (CEPEJ) ექსპერტმა, რომლის შედეგად კონკრეტული მეთოდოლოგია იქნა შემოთავაზებული და განხილული.

- ხარისხის გაუმჯობესებისა და პროცესების სტანდარტიზაციის მიზნით საერთო სასამართლოებისათვის შემუშავდა სხვადასხვა ინსტრუქცია, კერძოდ ელ.ექტრონული დოკუმენტის დასათაურების გაიდლაინები; ცხელი ხაზის ფუნქციონირების წესი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების დებულება და ა.შ.

F. ჩატარებული კვლევები

- 2016 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და CEPEJ-ის მეთოდოლოგიის საფუძველზე საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის გამოთვლის თაობაზე ჩაატარა კვლევა, რომლის საფუძველზეც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოხდა ცალკეულ სასამართლოებში შტატების რაოდენობის განსაზღვრა მათი ადეკვატურობისა და ოპტიმიზაციის მიზნით; აღნიშნული კვლევის შედეგები, კერძოდ მოსამართლეთა ადეკვატური რაოდენობის უზრუნველყოფის საკითხები, განხილულ იქნა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური ბლოკისა და ბიზნეს ასოციაციის წევრებს შორის გამართულ ერთობლივ შეხვედრაზე.

- მოსამართლის დანამატების გაცემის წესთან დაკავშირებით სხვადასხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების ანალიზისა და მისი საქართველოში მოქმედ წესებთან შედარების მიზნით ჩატარდა კვლევა - „მოსამართლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის სახეების იდენტიფიცირებისა და დანამატის გაცემის შემთხვევების შედარებითი ანალიზი“.

- სასამართლოს ადმინისტრირებისა და სერვისების მიწოდების პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ევროკავშირის წარმომადგენლობის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის (TAIEX) პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით სპეციალური კვლევა საჭიროებების თაობაზე. აღნიშნულ კვლევაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სასამართლო ადმინისტირების საკითხებზე მომუშავე საერთო სასამართლოებისა და იუსტიცის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებმა. კვლევის საფუძველზე ექსპერტების მიერ მომზადდა სასამართლო სისტემაში ადმინისტრირების საჭიროებების ანალიზის დოკუმენტი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისტემის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხს; აღნიშნული დოკუმენტი გამოყენებულ იქნა სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

- ადმინისტრაციულ დავებზე სასამართლო მედიაციის დამკვიდრების მიზნით, მომზადდა კვლევა - „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ადმინისტრაციულ დავებში - საზღვარგარეთის სახელმწიფოების გამოცდილება“.

- დამატებით განხორციელდა სხვადასხვა ქვეყნების მოსამართლეთა შეფასების წესების შესწავლა, რათა რაოდენობრივი ელემენტის გარდა, თვისობრივი ელემენტის ასახვაც მოხდეს შეფასების წესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მზად აქვს კანონპროექტი, რომელიც უახლოეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამტკიცდება.

G. მომზადებული ანგარიშები

მომზადდა და დროულად გაიგზავნა:

- წამების საწინააღმდეგო კონვენციის (CAT) პერიოდული ანგარიში;
- ადამიანის უფლებათა უნივერსალური (UPR) პერიოდული მიმოხილვის ანგარიში;
- ევროპის საბჭოს ეფექტური მართლმსაჯულების ევროპული კომისიის (CEPEJ) პერიოდული ანგარიში.
- 2014 წლიდან დღემდე საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების პერიოდული ანგარიშები.

H. სასამართლო მედიაციის ხელშეწყობა

- სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის როლის გასაძლიერებლად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საქართველოში იმყოფებოდა „კანონის უზენაესობის მდგრადი ინიციატივების ფონდის“ (FSRI) პრეზიდენტი, ვიქტორ სტაჩერი. ვიზიტის შედეგად:
  - შეფასებულ იქნა არსებული ვითარება;
  - შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები;
  - დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.
- მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, გორის რაიონულ სასამართლოსთან პარტნიორობით გაიხსნა გორის სამედიაციო ცენტრი.

- სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 მარტის №1/107 გადაწყვეტილებით ცვლილება განხორციელდა „სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის ფორმათა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №1/456 გადაწყვეტილებაში. აღნიშნული გადაწყვეტილებით სამოქალაქო საქმეზე სარჩელისა და შესაგებლის ფორმებს დაემატა შეკითხვა საქმის სასამართლო მედიაციისათვის გადაცემის შესახებ.

- 2016 წლიდან გორის რაიონულ სასამართლოში კერძო სამართლებრივ დავებზე სასამართლო მედიაციის პილოტური პროგრამის ასამოქმედებლად შემუშავდა მედიაციისათვის საქმის გადასაცემად საჭირო (მორიგების, კონფიდენციალური შეთანხმების და აშ.) ფორმები, მედიაციის მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარი და სტატისტიკური ცხრილი.

- სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგინდა სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სასამართლო მედიაციის პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მედიაციის კონსულტანტის უფლებამოსილებას, სასამართლო მედიაციის პროცესის დაწყების, ორგანიზებისა და დასრულების საკითხებს.

I. ღონისძიებები ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად

- უფრო ეფექტიანი გახდა ცხელი ხაზის საქმიანობა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხელი ხაზის კონტროლისა და შემოსულ ზარებზე რეაგირების შედეგად 237 შემთხვევაში იუსტიციის საბჭოს დახმარებით მოქალაქეთა კანონიერ მოთხოვნებს მყისიერად მოჰყვა სასამართლოს მხრიდან პრობლემური სიტუაციის აღმოფხვრა;

- სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ცალკე სპეციალიზაციად განისაზღვრა საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - კვალიფიციური

საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული სესხის (მათ შორის ელექტრონული ფორმით დადებული სესხის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული დავები"; ამას გარდა შეიქმნა საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომების კოლეგია, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე შეიქმნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსახილველი საქმეების სპეციალიზაცია.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა რეკომენდაცია გამოძიების დროს სასამართლოში პირის მოწმედ დაკითხვის წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით, რომლითაც მოწესრიგდა პირის მოწმედ დაკითხვის პროცედურული საკითხები; ამასთან შემუშავდა მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობისა და მოწმედ დასაკითხი პირისათვის გასაგზავნი სასამართლო უწყების ფორმები.

- „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ყოველ 6 თვეში ერთხელ ხორციელდებოდა მოსამართლის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება.

- 2016 წლის მარტში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიმართა საერთო სასამართლოებს წინადადებით, წარმოედგინათ მოსაზრებები „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. 16-მა სასამართლომ წარმოადგინა საკუთარი მოსაზრება შეფასების წესის დახვეწასთან დაკავშირებით. 2016 წლის მაისში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა და აპარატის შესაბამისმა თანამშრომლებმა ჩაატარეს ხარისხობრივი კვლევა, კერძოდ განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყველა კოლეგიის მოსამართლეებთან ინტერვიუები შეფასების წესთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა გამოთქვეს საკუთარი პოზიციები წესთან დაკავშირებით; შემოთავაზებულ იქნა წესის დახვეწის სხვადასხვა ალტერნატივები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების ცვლილების პროექტი.

- რეგულარულად მუშავდებოდა სტატისტიკური ინფორმაცია გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა თაობაზე; ასევე იმ ყოფილ მოსამართლეთა შესახებ, რომლებიც განმეორებით ღებულობდნენ კონკურსში მონაწილეობას.

J. სასამართლოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მოქალაქეებისთვის სწრაფი, მარტივი და კომფორტული სერვისის უზრუნველსაყოფად, ასევე მოსამართლეებისა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისთვის სათანადო სამუშაო გარემოს შესაქმნელად და ეფექტიანობის ასამაღლებლად:

2013 წელს:

- განხორციელდა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ყველა სასამართლოს დარბაზის (სულ 200 დარბაზი) ვიდეო ჩაწერის სისტემით აღჭურვა.
- დასრულდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სასამართლო პროცესის ჩატარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა.
- დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოები და აღჭურვა ავეჯითა და სხვა ინვენტარით.
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მართლმსაჯულების სახლის სამშენებლო სამუშაოები.
- საერთო სასამართლოების შენობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მოეწყო პანდუსები.
- ჩატარდა 38 სასამართლოს შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის საქალაქო, მცხეთის, ახალციხის, გორის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ხელვაჩაურის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ზესტაფონისა და სამტრედიის რაიონულ და სენაკის, წალენჯიხის, ქედის, შუახევის, ქობულეთის, ბაღდათის, ტყიბულის, თერჯოლის, ჭიათურის,

წყალტუბოს, ლენტეხის, მესტიის, თიანეთის, ასპინძის, წალკის, ქარელის, კასპის, ახმეტის, დედოფლისწყაროსა და ჩოხატაურის მაგისტრატ სასამართლოებში.

2014 წელს:

- დასრულდა მართლმსაჯულების სახლის სამშენებლო სამუშაოები.
- განხორციელდა 36 სასამართლოს შენობის სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო, ზესტაფონის, გორის, ხაშურის, ბოლნისის, ზუგდიდის, სენაკის, ახალქალაქის, ხელვაჩაურის, ამბროლაურისა და ცაგერის რაიონულ და წყალტუბოს, ბაღდათის, ტყიბულის, ჭიათურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ხულოს, ქედის, შუახევის, კასპის, ქარელის, ონის, ლენტეხის, ნინოწმინდის, ადიგენის, აბაშის, ჩხოროწყუს, ხობისა და საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოებში.
- დასრულდა სარეზერვო "დატა ცენტრის" განსათავსებელი შენობის მშენებლობა.
- თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების ცენტრალური არქივის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე მოეწყო ავტოსადგომი.
- სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტში ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.
- საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა 155 ერთეული პერსონალური და 80 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი, 85 ერთეული ლაზერული პრინტერი, 29 ერთეული სკანერი, 7 ერთეული ასლგადამღები აპარატი.
- საერთო სასამართლოების შენობებში სერვერების გაძლიერების მიზნით შეძენილ იქნა ქსელური შემნახველი მასივები.
- ავტოპარკის განახლების მიზნით განხორციელდა ამორტიზებული ძველი ავტომანქანების ჩანაცვლება 18 ერთეული ახალი ავტომანქანით.

- 28 მაგისტრატი სასამართლოს სხდომათა დარბაზებში დამონტაჟდა ხმის ჩამწერი აპარატურა.
- 4 რაიონული სასამართლოსთვის მოხდა ვიდეოსაკონფერენციო აპარატურის შეძენა-მონტაჟი.
- განხორციელდა რესურსების მართვის სისტემის პროგრამული პაკეტის შეძენა.

2015 წელს:

- განხორციელდა 24 სასამართლოს შენობის სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო, მცხეთის, ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის, გურჯაანის, ცაგერის, ბოლნისისა და ახალციხის რაიონული და თიანეთის, აბაშის, ხობის, წალენჯიხის, ხონის, ტყიბულის, წყალტუბოს, ლენტეხის, ახმეტის, ბორჯომის, ასპინძის, დმანისისა და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოების სარემონტო სამუშაოები.
- დაიწყო მარნეულისა და გურჯაანის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
- ახალდანიშნული მოსამართლეებისთვის და სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისთვის შეძენილ იქნა ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა (169 კომპიუტერი, 130 ლეპტოპი და 250 პრინტერი).
- განხორციელდა 12 ასლგადამღები აპარატის შეძენა.
- თბილისის საქალაქოს ორ სხდომის დარბაზში დამონტაჟდა აუდიო-ვიდეო ჩაწერის აპარატურა.
- 6 სასამართლოს 12 დარბაზისათვის შეძენილ იქნა აუდიო გახმოვანების სისტემა.
- სასამართლო შენობებში დამონტაჟდა კონდიციონერები.
- ბოლნისის, გურჯაანისა და მცხეთის რაიონული სასამართლოებისათვის შეძენილ იქნა ელექტრო გენერატორები.

- შეძენილ იქნა ჯამში 14 მსუბუქი და 1 სატვირთო ავტომანქანა, მათ შორის მოხდა 10 ამორტიზებული ავტომანქანის ჩანაცვლება და დამატებით შეძენილ იქნა 5 ახალი ავტომანქანა.

- მოხდა საერთო სასამართლოების ბალანსზე არსებული ავტომანქანების დაზღვევა.

2016 წელს:

- დასრულდა 2015 წელს დაწყებული გურჯაანის რაიონული და მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

- გარემონტდა და ახალი ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა.

- განხორციელდა ფოთის საქალაქო, ხობის, ხონისა და თიანეთის მაგისტრატი სასამართლოს შენობების გაზიფიკაციის სამუშაოები.

- განხორციელდა 13 სასამართლო შენობის სარემონტო სამუშაოები, მათ შორის: თბილისის და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის საქალაქო, ახალციხის, ცაგერის, სენაკისა და თეთრიწყაროს რაიონული და ქობულეთისა და წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლო შენობების სარემონტო სამუშაოები.

- განხორციელდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შენობის სრული რეკონსტრუქცია.

- მცხეთის რაიონულ სასამართლოში განხორციელდა საბადრაგო ბლოკის მშენებლობა.

- დაიწყო ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს შენობის მშენებლობა.

- შეძენილ იქნა 205 პერსონალური კომპიუტერი, 65 პრინტერი, 15 ასლგადამღები აპარატი 25 სკანერი, 3 სერვერი.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს 8, ბათუმის საქალაქოს 2, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2 და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს 1 სხდომათა დარბაზი აღიჭურვა აუდიო გახმოვანების აპარატურით.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს საბადრაგო ნაწილში და საერთო სასამართლოების არქივში დამონტაჟდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.

- სასამართლოს დარბაზებისათვის შეძენილ იქნა 3 კომპლექტი ვიდეოსაკონფერენციო სისტემა.
- შეძენილ იქნა 2 მსუბუქი ავტომანქანა, განხორციელდა სასამართლოს ბალანსზე არსებული ამორტიზებული 1 სატვირთო, 1 სამგზავრო და 1 მსუბუქი ავტომანქანის ჩანაცვლება ახალი ავტომანქანებით.
- მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა რუსთავის საქალაქო, გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გასამართი პროცესების ჩატარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.
- და ბოლოს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა ახალი შენობა, სადაც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებენ საოჯახო და სამემკვიდრეო ვიწრო სპეციალიზაციის საქმეთა განმხილველი მოსამართლეები, ასევე სასამართლოს შესაბამისი მოხელეები (მაგისტრები); ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა მიწის ნაკვეთი ახალი შენობის ასაშენებლად.

K. საბჭოს სხდომების სიხშირე და რეგულარობა

საგრძნობლად იმატა საბჭოს საქმიანობის ინტენსივობამ. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დანერგა საბჭოს სხდომების ჩატარების რეგულარულობა - ჩვეულებრივ, კვირაში ორი სხდომა - ერთი ორდინარული სხდომა მიმდინარე საკითხებზე, მეორე- დისციპლინური. მაგალითისათვის, 2016 წელს ჩატარდა საბჭოს 50 სხდომა მიმდინარე საკითხებზე მაშინ, როდესაც 2010 წელს მხოლოდ 28.

2. ადამიანური რესურსების მართვა

A. მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი:

2013 წლის ივნისიდან დღემდე ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი 8 კონკურსი. შედეგად, თანამდებობაზე გამწესდა 224 კანდიდატი: 49 სკოლის მსმენელი, 3 რეზერვის მოსამართლე, 92 ყოფილი მოსამართლე და 80 მოქმედი მოსამართლე.

- **მოქმედი მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნა სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე**

2015 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ორ შემთხვევაში მოხდა მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირება.

2015 წლის აგვისტო:

რაიონული/საქალაქო სასამართლოს 6 მოსამართლე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე.

2015 წლის ოქტომბერი-ნოემბერი:

რაიონული/საქალაქო სასამართლოს 7 მოსამართლე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე.

B. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა

2013 წლის ივლისიდან დღემდე ჩატარდა მოსამართლეობის 2 საკვალიფიკაციო გამოცდა. გამოცდა ჩააბარა სულ 97-მა კონკურსანტმა.

C. მოსამართლეთა შერჩევა და თანამდებობაზე განწესება

2013-2017 წლებში ჩატარდა 8 კონკურსი. სხვადასხვა ეტაპზე საბჭომ სულ განიხილა 765 საკონკურსო განაცხადი, საიდანაც მეორე ეტაპზე გადავიდა 672 კანდიდატი, შეისწავლა მათი ბიოგრაფიები, მოიძია შესაბამისი ინფორმაცია და გაესაუბრა

თითოეულ მათგანს. 3 წლის ვადით მოსამართლის თანამდებობაზე განწესდა 209 მოსამართლე; ამასთან, დღეისათვის 21 განწესდა უვადოდ მოსამართლის თანამდებობაზე, ასევე 5 საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის შემდგომ განწესდა უვადოდ, ერთი მოსამართლე საპენსიო ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლდა თანამდებობიდან.

დარჩენილი 187 მოსამართლიდან:

- 61 მოქმედი მოსამართლეა;
- 86 ყოფილი მოსამართლე;
- 40 იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი,
- 21 უვადოდ განწესებული მოსამართლიდან:
- 10 იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;
- 2 მოსამართლეთა რეზერვიდან დანიშნული;
- 7 მოქმედი მოსამართლე;
- 2 ყოფილი მოსამართლე;

3. იუსტიციის უმაღლესი სკოლა

A. შემუშავდა სკოლის სტრატეგიული გეგმა

- 2013 წლიდან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობებისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდის მიზნით. 2014 წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და ექსპერტების მონაწილეობით, პროექტის - „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარების“ ფარგლებში შემუშავდა სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომელმაც მოიცვა სკოლის განვითარების ძირითადი მიზნები 2014-2018 წლებში.

- 2014 წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, შემუშავდა სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომელმაც მოიცვა სკოლის განვითარების ძირითადი მიზნები 2014-2018 წლებში. სწავლების ხარისხის გაზრდის, ასევე ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით დასახული მიზნების შესასრულებლად დაიხვეწა სკოლის საქმიანობის ყველა ძირითადი სფერო; კერძოდ იუსტიციის მსმენელთა სწავლების მიმართულების გასაძლიერებლად დაინერგა იუსტიციის მსმენელების (სამოსამართლო კანდიდატების) სწავლების ყველა ეტაპის შეფასების მექანიზმი, შემუშავდა სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმი, დაიხვეწა პროგრამის შინაარსობრივი და ტექნიკური მხარეები, დაიხვეწა სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის პროცედურული საკითხები, მსმენელთა შეფასების პროცედურები, მოწესრიგდა მსმენელთათვის სერტიფიკატების გადაცემის წესი.

B. მსმენელები

საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის მსმენელთა მე-10, მე-11 და მე-12 ჯგუფებში სულ ჩაირიცხა 43 მსმენელი, რომელთაგან სწავლა წარმატებით დაასრულა 40-მა. მსმენელთა მე-13 ჯგუფში ჩარიცხულია 20 მსმენელი.

იხ. ხცრილი:



C. ვებ-პორტალი

2014 წელს USAID/JILEP-ის მხარდაჭერით შეიქმნა სკოლის ვებ-პორტალი, რომელიც სრულად ამოქმედდა 2015 წლის სექტემბერში. სკოლის მსმენელებს შესაძლებლობა მიეცათ ელექტრონული ფორმით მიიღონ სასწავლო მასალა, დაამუშაონ და ატვირთონ დავალებები. პორტალი მოსამართლეებსა და სხვა მოხელეებს საშუალებას აძლევს თავად დაგეგმონ საკუთარი სასწავლოკალენდარი. ამან პროცესი მეტად ეფექტიანი და გამჭვირვალე გახადა.

D. კურიკულუმების შემუშავება

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ შემუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა კურიკულუმების შემუშავების სტანდარტული მეთოდი. 2014-2017 წლებში სახელმწიფო ვალდებულებებისა და მოსამართლეთათვის საინტერესო თემებზე შეიქმნა 11 კურიკულუმი.

E. ჩატარებულ ტრენინგთა რაოდენობა

2013-2017 წლების მონაცემებით, მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამების ფარგლებში სულ განხორციელდა 357 ტრენინგი,

რომლებსაც ჯამურად ესწრებოდა 5738 მონაწილე.[6] საშუალოდ, ერთმა მოსამართლემ წლის განმავლობაში გაიარა 6 ტრენინგი.

იხ. დიაგრამა:



[6]დიაგრამაში მოცემულია სტატისტიკური ინფორმაცია 2017 წლის 28 ივნისის მდგომარეობით.

IV. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობა

წინა წლებთან შედარებით, საბჭოს საქმიანობის საჯაროობის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა. სხვადასხვა ორგანიზაციებს წინა წლებთან შედარებით ნაკლები პრობლემა ექმნებოდათ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თვალსაზრისით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლოს 4 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხდომაზე დამსწრებ პირებს ხშირად აძლევდა განსახილველ საკითხზე მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობას, მსგავსი პრაქტიკა კი წინა წლებში არ შეიმჩნეოდა.

A. დაინტერესებული პირების სხდომაზე მოწვევის პრაქტიკა

- <u>საბჭომ დანერგა თავისივე ინიციატივით გარეშე პირების - დაინტერესებული უწყებების, ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების სხდომაზე მოწვევის პრაქტიკა.</u> აღნიშნულის დასტურია ის ფაქტი, რომ საბჭოს სხდომებზე არაერთხელ იყვნენ მიწვეულნი ის უწყებები თუ პირები, რომლებსაც განსახილველი საკითხი შეეხებოდა, ან ვისაც საკითხის მიმართ ინტერესი გააჩნდა. მაგალითად, საბჭოს სხდომაზე მოისმინეს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა პოზიციები და წინადადებები დისკრიმინაციის საკითხებზე; ერთ-ერთ სხდომაზე მიწვეული იყო პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესთან დაკავშირებით მოსაზრებების გასაზიარებლად; მიწვეული იყო უცხოელი ექსპერტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე გამოცდილების გასაზიარებლად და პრაქტიკული რჩევების მისაღებად; ასევე საბჭოს სხდომაზე გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს მიერ მომზადებული „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის #4 ანგარიშის“ განხილვა.[7] რეგულარულად ხდებოდა

[7]იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N5, მომზადებული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა, ანგარიშის სრული ვერსია შეგიძლიათ იხ. აქ:http://www.transparency.ge/ge/post/iusticiis-umaglesi-sabchos-monitoringis-mexute-angarishi, [08.06.2017].

მოსამრთლეთა ალტერნატიული ასოციაციის - “მოსამართლეთა ერთობის“ წარმომადგენელთა სხდომებზე დასწრება და მათი მოსზრებების მოსმენა.

B. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომის ჩატარების პრაქტიკა

- <u>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევის, გაფართოებულ სხდომათა ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების საკითხები</u>. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის №1/102 გადაწყვეტილებით ცვლილება განხორციელდა „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში, რის შედეგადაც მოწესრიგდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევის, გაფართოებულ სხდომათა ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების საკითხები. განსახილველი საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, ახალი წესის შესაბამისად, საბჭოს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს საერთო სასამართლოს ნებისმიერი მოსამართლე, ყოფილი მოსამართლე, მოსამართლეთა გაერთიანება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, სხვა უწყების (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, საგანმანათლებლო დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია) თუ აკადემიური წრეების წარმომადგენელი და სხვა პირი (ამა თუ იმ დარგის ექსპერტი, სპეციალისტი და სხვა), რაც უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მეტ გამჭვირვალობას და საზოგადოების მეტ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

C. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის **გამჭვირვალობის** უზრუნველსაყოფად დამტკიცდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი, რომლითაც განისაზღვრა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პროცედურული საკითხები, პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტები, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირები, აგრეთვე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა; ამ მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდს დაემატა საჯარო ინფორმაციის კუთხე.

D. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების საჯაროობა

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის **გამჭვირვალობის** უზრუნველყოფის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნა სხდომათა აუდიო, ვიდეო ჩაწერა. მეტიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭო თხოვნისთანავე ახდენს საჯარო სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის დაინტერესებული პირისათვის მიწოდებას. გარდა ამისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ განახორციელონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გახსნის ფოტოგადაღება და ვიდეო-აუდიო ჩაწერა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დარბაზის სიმცირის გამო და ზოგიერთი საკითხის რეზონანსულობიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფოიეში დამონტაჟდა მონიტორი, სადაც ხდება საბჭოს სხდომების პირდაპირ რეჟიმში ტრანსლირება. ეს კიდევ უფრო მეტ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას თვალი ადევნოს საბჭოს სხდომებს.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების ტრანსლირების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო სხდომების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას შიდა ქსელის „intranet”-ის მეშვეობით საბჭოს სხდომების ტრანსლირების გამართულ რეჟიმში

განხორციელებით; ამგვარი ტრანსლირება მუდმივად და შეუფერხებლად ხორციელდება.

E. საერთო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

- სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით განისაზღვრა საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესი. აღნიშნული გადაწყვეტილება ერთი მხრივ, არეგულირებს სასამართლო გადაწყვეტილების ასლის გაცემის თაობაზე განცხადების წარდგენის წესს, ხოლო მეორე მხრივ, ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის მიზნით სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრის შექმნისა და მასში სასამართლო გადაწყვეტილებების განთავსების საკითხს.

F. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

- საერთო სასამართლოებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, სპიკერ-მოსამართლის უფლება-მოვალეობების და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის დარეგულირების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის დებულება.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების ინფორმირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე.

- მოქალაქეები სატელეფონო კომუნიკაციის, ელექტრონული სერვისების (ელექტრონული ფოსტა: council@hcoj.gov.ge) მეშვეობით, ოპერატიულად იღებენ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციას.

- შეიქმნა მედიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. განხორციელდა გასვლითი ვიზიტი საქართველოს პარლამენტის მედია

ცენტრში, მათ მიერ დანერგილი პროდუქტებისა და სერვისების შესწავლის მიზნით.

- <u>დამკვიდრდა ჟურნალისტებთან რეგულარული შეხვედრების პრაქტიკა მათთვის სასამართლოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით.</u> 2015 წლის აპრილში, დიალოგის ფორმატით გაიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობასთან ადგილობრივი მედიის წარმომადგენლების შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე ჟურნალისტებისთვის ტრენინგის ჩატარების მიზნით, შემუშავდა გრძელვადიანი გეგმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სამართლებრივი კუთხით ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას; აღნიშნული პროექტის ფარგლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა <u>10 შეხვედრა</u> მედიის წარმომადგენლებთან; შეხვედრებს უძღვებოდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, ასევე, სამართლის მოწვეული სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება მედიასამართლის კუთხით. საერთო ჯამში აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა მედია საშუალებების 35-მა ჟურნალისტმა.

V. მთავარი გამოწვევები

მიუხედავად ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი წინსვლისა და დაძლეული პრობლემებისა, სასამართლო სისტემის წინაშე კვლავინდებურად რჩება მრავალი გამოწვევა. მიუხედავად გამოწვევების მრავალფეროვნებისა, საბჭო მთავარ გამოწვევებად გამოყოფს შემდეგს:

A. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართულებით

- **დაბალი ანაზღაურება და სოციალური დაცვის გარანტიები**

- მიუხედავად სამუშაოს მოცულობისა და არანორმირებული სამუშაო გრაფიკისა, საჯარო დაწესებულებებს შორის რაიონული/ქალაქის სასამართლოები ერთ-ერთ ყველაზე დაბალანაზღაურებად სამსახურებად ითვლება. ასეთი დასკვნის საფუძველსაც გვაძლევს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების სხვა სსიპ-ების თანამდებობრივ სარგოებთან შედარება. მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საშტატო ნუსხის მიხედვით ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ თანამდებობრივ სარგოს 7000 ლარი და 1000 ლარი შეადგენს. ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატში ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ თანამდებობრივ სარგოს, შესაბამისად, წარმოადგენს 2260 ლარი და 715 ლარი.

  იხ. დიაგრამა:



- მოსამართლის თანამდებობრივი სარგო 4000 ლარია მაშინ, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, კერძოდ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ყოველთვიური ხელფასი 7000 ლარს შეადგენს. თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი, რომელსაც 520-ზე მეტი დაქვემდებარებული თანამშრომელი ჰყავს და სასამართლოს სტრუქტურულ-ადმინისტრაციულ ფუნქციონირებაზეა პასუხისმგებელი, ყოველთვიურად ხელფასის სახით 2260 ლარს იღებს მაშინ, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის (რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილება სასამართლოს მენეჯერის უფლებამოსილების მსგავსია) თვიური ხელფასი სასამართლოს მენეჯერის ხელფასს 2-ჯერ აღემატება და 5000 ლარს შეადგენს.

იხ. დიაგრამა:



- *დაურეგულირებელი პენსიების სისტემა;*
- *დისპროპორციული განსხვავების არსებობა ერთი მხრივ, უზენაესი და მეორე მხრივ, პირველი და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა პენსიებს შორის;*
- *ხელფასებისა და პენსიების დაუცველობა ინფლაციისაგან;*
- *რთული სამუშაო პირობები და არანორმირებული სამუშაო საათები, რაც დიდ ზიანს აყენებს მოსამართლეთა ჯანმრთელობას, მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებას;*

- **სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეების პროცესუალური უფლებების სიმცირე**

სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეები ზედმეტად შებოჭილნი არიან პროცესუალურ უფლებებში, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას გამოიტანონ სამართლიანი და შინაგან რწმენაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. კერძოდ:

- *მოსამართლეს არ აქვს მხარეთა თანხმობის გარეშე შეკითხვის დასმის უფლება;*
- *მოსამართლეს არ აქვს საკუთარი შეხედულებით პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლება;*
- *მოსამართლეს არ აქვს სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ქვედა ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის უფლება.*

- დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების ნაკლებობა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სასამართლოს თავმჯდომარეების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ხარვეზიანობა;
- მოსამართლეთა დაწინაურების სისტემის ხარვეზიანობა;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის არასაკმარისი გამოყენება;

- მოსამართლეობის კანდიდატების თაობაზე აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების სისტემის არაეფექტიანობა;
- უზენაესი სასამართლოს წევრების გამორიცხვა სამუდამო ვადით დანიშვნისაგან;
- ზოგიერთი მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობის განცდის ნაკლებობა;
- გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრის შედგენის შედარებით დაბალი კულტურა;
- მოსამართლის დაწინაურების წესებისა და კრიტერიუმების ბუნდოვანება;
- მედიისა და პოპულისტი პოლიტიკოსებიდან წარმომდგარი საფრთხის განეიტრალება; მოსამართლის დაუცველობა უსაფუძვლო თავდასხმებისაგან.

B. <u>ანგარიშვალებულებიანობის მიმართულებით</u>

- მოსამართლის მუდმივი პროფესიული შეფასების თანამედროვე სისტემის არარსებობა;
- მოსამართლეთა ახალი ეთიკის კოდექსის შექმნის საჭიროება;
- მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ბუნდოვანება და დისციპლინური სამართალწარმოების წესების დახვეწის საჭიროება;
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური საჩივრების განხილვის გაჭიანურება;

C. ეფექტიანობისა და ხარისხის მიმართულებით

- **მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირე და მათი გადატვირთულობა**

მოსამართლეები გადატვირთულები არიან საქმეებით, რაც სერიოზულად ზრდის შეცდომისა და საქმეთა გაჭიანურების რისკს. მათ ყოველდღიურად უწევთ

გვიანობამდე მუშაობა, შაბათ-კვირასა და დასვენების სხვა დღეებს ისინი იყენებენ მიღებული გადაწყვეტილებების დასაწერად. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს სასამართლოს შენობების, სხდომის დარბაზებისა და სასამართლოს პერსონალის ნაკლებობა. „CEPEJ“-ის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო 100,000 მოსახლეზე მოსამართლეთა სიმცირით (5,4 მოსამართლე), 47 ქვეყანას შორის, 46 ადგილს იკავებს და უსწრებს მხოლოდ ირლანდიას. ქართველი მოსამართლის დატვირთვა 4-ჯერ და 5-ჯერ აღემატება სხვა ევროპელი მოსამართლის საშუალო დატვირთვას. მიუხედავად ამისა, საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებლით (clearance rate) და საქმის დასასრულებლად გამოყენებული დროის მაჩვენებლით (disposition time) საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: გერმანია, ლიტვა, დანია, იტალია, პორტუგალია, სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი და ა.შ. მოსამართლეთა დატვირთულობა განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

იხ. სქემა:



მიუხედავად მოსამართლეებისა და სასამართლო პერსონალის რაოდენობის სიმცირისა, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებმა <u>გასწიეს დიდი სამუშაო რაოდენობრივი თვალსაზრისით:</u> 2013-2016 წლებში საერთო სასამართლოების მიერ (სამივე ინსტანციის სასამართლოები) განხილულ იქნა:

- 484 137 საქმე არსებითად;
- 49 427 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე;
- 9754 შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით;

აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ 47 ევროპულ სახელფიწოში ჩატარებული კვლევის თანახმად, საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი (clearance rate) აღემატება 100%-ს, ხოლო თითო საქმის დასრულებას (disposition time) სასამართლოები საშუალოდ 100 დღეზე ნაკლებს ანდომებენ. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: გერმანია, ლიტვა, დანია, იტალია, პორტუგალია, სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი და ა.შ.

- **ქალი სასამართლოს თავმჯდომარეების ნაკლებობა**

მთლიანობაში საერთო სასამართლო სისტემაში გენდერული ბალანსი დაცულია. სასამართლო სისტემაში 148 ქალი მოსამართლეა, ხოლო 139 მამაკაცი. სასამართლოს პერსონალშიც ქალ თანამშრომელთა რაოდენობა აღემატება მამაკაცების რაოდენობას (ქალი - 882-, ხოლო მამაკაცი - 520). თუმცა, გამოწვევად რჩება სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ქალი მოსამართლეების ნაკლებობა. კერძოდ, 2017 წლის ივნისის მგომარეობით, თუკი არ ჩავთვლით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი 27 სასამართლოდან მხოლოდ 4 სასამართლოს თავმჯდომარეა ქალი.

- **სასამართლოს მართვაში რეგიონის მოსამართლეების ნაკლებ ჩართულობა;**

ზემოაღნიშნული გამოწვევები შესაბამისად არის ასახული სასამართლოს განვითარების ხუთწლიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში; სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემას სასამართლოს წინაშე არსებული თითოეული პრობლემის დაძლევის მიზნით, რომლის ამოქმედების შემდეგ მოსალოდნელია ვითარების მკვეთრი გაუმჯობესება ყველა ძირითადი მიმართულებით.